

მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.ახალციხე

„15“ „03“ 2018 წ.

შეთანხმების მონაწილეები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #106 საინდენტიფიკაციო კოდი 424066977), რექტორის, ასოცირებული პროფესორის, მაკა ბერიძის სახით და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვისჰაბი“, დირექტორის ნიკოლოზ ბეგიშვილის სახით საქართველოში მიმდინარე საგანმათლებლო რეფორმის ფარგლებში, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფის, ასევე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გაანალიზებისა და განზოგადების მიზნით, დებენ წინამდებარე მემორანდუმს „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ შემდეგზე:

განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა სტუდენტის ცოდნისა და პროფესიული უნარების ათვისების დარგში, რისთვისაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ბაკალავრიატის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ და მაგისტრატურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვისჰაბი“ - ში

- მხარეთა წარმომადგენლები წინასწარ შეათანხმებენ პროფესიული პრაქტიკის განხორციელებისათვის ყველა აუცილებელი ჩასატარებელი ღონისძიებების განრიგას.
- მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმით სურვილის გამოთქმამდე.
- მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი,
ასოცირებული, პროფესორი:

მაკა ბერიძე

J.



შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება „სერვისჰაბი“-ის
დირექტორი:

ნიკოლოზ ბეგიშვილი

B.

